საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1522 2018 წლის 9 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ზოგიერთი სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №604 დადგენილების შესაბამისად, მიეცეთ თანხმობა:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

ა.ა) მონაცემთა ბაზისა და ოპერაციული პროგრამული პაკეტების (კლასიფიკატორის კოდი: CPV – 48600000) სახელმწიფო შესყიდვაზე;

ა.ბ) კომპიუტერული მოწყობილობებისა და აქსესუარების (კლასიფიკატორის კოდი: CPV – 30200000) სახელმწიფო შესყიდვაზე;

ა.გ) ელექტროძრავების, გენერატორებისა და ტრანსფორმატორების (კლასიფიკატორის კოდი: CPV – 31100000) სახელმწიფო შესყიდვაზე;

ა.დ) ავეჯის (კლასიფიკატორის კოდი: CPV – 39100000) სახელმწიფო შესყიდვაზე;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს ტელე და რადიოსიგნალის მიმღებებისა და

აუდიო ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურის (კლასიფიკატორის კოდი: CPV – 32300000) სახელმწიფო შესყიდვაზე.

პრემიერ-მინისტრი

მამუკა ბახტაძე